საინფორმაციო ბიულეტინი

#2
აპრილი-ივნისი
2018

ადვოკატირება

შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან

ასოციაცია „ჰერა XXI"-ის ორგანიზებით გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა კოალიციური შეხვედრა.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა განიხილეს კოალიციის - „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის" - სამომავლო საქმიანობის პერსპექტივები.

თანამშრომლობა თბილისის მერიასთან

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე სადაც განიხილებოდა არასამთავრობო სექტორისა და მერიის წარმომადგენლებს შორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტები და დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, თბილისის მერიასა და ჰერა XXI-ს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობა გამოიკვეთა.

მტკიცებულებებზე დამყარებული პრაქტიკა

მკვლევართა ჯგუფი

ასოციაცია „ჰერა XXI'- ის ბაზაზე შეიქმნა მკვლევართა ჯგუფი.

მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ საქმიანობასა და თემატურ კვლევებს „ჰერა XXI" უკვე წლებია ახორციელებს. აღნიშნული ჯგუფის შექმნის მიზანია ორგანიზაციის კვლევითი კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება და ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა კვლევით საქმიანობაში.

მკვლევართა ჯგუფს ჩაუტარდა ტრენინგები სოციალური კვლევის მეთოდებზე. ტრენინგები, თეორიულ ნაწილთან ერთად მოიცავდა პრაქტიკულ აქტივობებს - სიტუაციურ ამოცანებს, ჯგუფურ სამუშაოებს, დისკუსიებს და ა.შ.

მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ

ასოციაცია „ჰერა XXI"-მა ჩაატარა მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების სწავლების მიმართ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების 541-მა მასწავლებელმა.

კვლევის შედეგებს გთავაზობთ ინფოგრაფიკის სახით.

განათლება

თანასწორთა განათლება

ასოციაცია „ჰერა XXI“- ის თანასწორ- განმანათლებელთა ჯგუფს კიდევ 15- მდე ახალგაზრდა შემოუერთდა. მომავალმა თანასწორ- განმანათლებლებმა გაიარეს ეტაპობრივი ტრენინგ- კურსი, რომელთა ფარგლებშიც მიიღეს თემატიკური ცოდნა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები "სწავლების მეთოდოლოგიაში", რომლის მეშვეობით თეორიულ ცოდნასთან ერთად განივითარეს ტრენერული უნარ- ჩვევები.

თანასწორ- განმანათლებლებს საშულება ჰქონდათ განემტკიცებინათ უკვე მიღებული ცოდნა და გაეგოთ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია პროფესიონალი რეპროდუქტოლოგისგან ონლაინ- სემინარების საშულებით.

თანასწორ- განმანათლებელთა გადასამზადებელი ტრენინგები მოიცავდა ბევრ საინტერესო დავალებასა და სიტუაციურ ამოცანას, რამაც ხელი შეუწყო მათი ტრენერული უნარ- ჩვევების განვითარებას.

2018 წლის ბოლომდე თანასწორ- განმანათლებლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 30- ზე მეტ საინფორმაციო- საგანმანათლებლო სესიას ჩაატარებენ.

პროფესიული ჯგუფების განათლება

რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიანი სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ორგანიზაცია მუდმივად ზრუნავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მიმწოდებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ტრენინგების, სემინარების და დისტანციური კურსების მეშვეობით.

2018 წელს ასოციაციამ შეიმუშავა ახალი, ინოვაციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს ვებ-სემინარების საშუალებით რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისის მიმწოდებელებისთვის (ოჯახის ექიმი, ექიმი რეპროდუქტოლოგი, ექიმი გინეკოლოგი) კვალიფიკაციის ამაღლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე: ოჯახის დაგეგმვა, თანამედროვე ტექნოლოგიები მეან- გინეკოლოგიაში, პაციენტის უფლებები, პროფესიული კომპეტენციები, კონსულტაცია/კონსულტირების ტექნიკა და ა.შ. აღნიშნული მიდგომა ზრდის ხელმისაწვდომობას სერვისის მიმწოდებლებისთვის ტერიტორიული, ფინანსური და დროითი ბარიერების გარეშე შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე.

ვებ-სემინარების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი"-ს facebook გვერდზე (ASSOCIATION HERAXXI) და ვებ.გვერდზე HERA-YOUTH.GE



ახალგაზრდები

ახალგაზრდული ჯგუფი

ასოციაცია „ჰერა XXI“-ის ახალგაზრდული ჯგუფი კვლავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას. აღსანიშნავია, რომ გარდა თბილისის ახალგაზრდული ჯგუფისა შეიქმნა და აქტიურად მუშაობს ხობისა და ახალციხის ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებიც თავიანთ რეგიონებში იქნებიან ორგანიზაციის ახალგაზრდა აქტივისტები. ისინი იმუშავებენ ადგილობრივ ახალგაზრდებთან, უზრუნველყოფენ მათ ჩართულობას „ჰერა XXI“- ის ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო აქტივობებში.

ახალგაზრდული საზოგადოებრივი რესურსების გამოფენა

ასოციაცია „ჰერა XXI“ შეუერთდა ახალაზრდული საზოგადოებრივი რესურსების გამოფენას. ღონისძიება ინგლისური ენის მართლწერის ეროვნული კონკურსის ფარგლებში ჩატარდა და მასში მონაწილეობას იღებდა 300- ზე მეტი მოსწავლე და მასწავლებელი თბილისისა და რეგიონების 25 სკოლიდან.

„ჰერა XXI“- ის ახალგაზრდული ჯგუფის წევრები ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებს ესაუბრნენ ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. ასევე, იმ ფიზიოლოგიური თუ ემოციური ცვლილებების შესახებ, რაც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს გარდატეხის ასაკში. დაინტერესებულ მოსწავლეებს კი დეტალურად გააცნეს ორგანიზაციის საქმიანობა და სერვისები.

მოხალისეობა

მოხალისეობის ყოველწლიური გამოფენა ქუთაისში

ასოციაცია „ჰერა XXI“-მა მონაწილეობა მიიღო ქ. ქუთაისში გამართულ მოხალისეობის ყოველწილიურ გამოფენაში. ღონისძიება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ სხვადსხვა საფეხურისა და ფაკულტეტის სტუდენტები.

„ჰერა XXI“-ის ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა ღონისძიების მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია ორგანიზაციაში მოხალისეობის შესაძლებლობებზე, ასევე, გააცნეს „ჰერა XXI“-ის სერვისები და პროექტები. ღონისძიების ფარგლებში ორგანიზაციას არაერთი მოხალისე შემოუერთდა.

განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მოხალისეობის ყოველწლიური გამოფენა

მოხალისეობის ყოველწლიური გამოფენა ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ასოციაცია „ჰერა XXI“-მა სხვა 30 სამოქალაქო ორგანიზაციასთან ერთად.

„ჰერა XXI“-ის ახალგაზრდული ჯგუფის წარმომადგენლები ახალგაზრდებს ესაუბრნენ მოხალისეობის როლზე როგორც თავად ახალგაზრდების პიროვნული განვითარების, ისე ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესებში. ღონისძიების ბოლოს ასოციაცია "ჰერა ოცდაერთს" აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდები შემოუერთდნენ, რომლებიც ასოციაციის სამომავლო აქტივობებში მოხალისეობრივად ჩაერთვებიან.

სერვისები

ექიმი რეპროდუქტოლოგის ონლაინ სერვისი

ასოციაცია "ჰერა XXI" ახლგაზრდებს სთავაზობს ექიმი-რეპროდუქტოლოგის უფასო, ანონიმურ ონლაინ კონსულტირებას, ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისად. ახალგაზრდებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად მიიღონ კონსულტირება, მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება, კონფიდენციალურ და კეთილგანწყობილ გარემოში, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე, მათ შორის კონტრაცეპციის თანამედროვე საშუალებებზე და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე.

სერვისის მიზანია საქართველოში ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ეს მისცემთ მათ საშუალებას მიიღონ გაცნობიერებული გადაწყვეტილება და შეძლონ საკუთარი და სხვების (პარტნიორების) ჯანმრთელობის დაცვა. სერვისის მიწოდება ხორციელდება კონფიდენციალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

ონლაინ კონსულტირების მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ ვებ-გვერდს: HERA-YOUTH.GE

საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ.

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს HERA-YOUTH.GE ან სოციალურ ქსელ FACEBOOK-ზე ASSOCIATIONHERAXXI

და გაიგეთ უფრო მეტი ჰერა XXI-ს შესახებ.